

შეტყობინება მეათე

რუთი ირჩევს თავისთვის მიზანს, იყენებს თავის უფლებას,
ეძებს თავისთვის მოსვენებას, და ღებულობს ჯილდოს დმერთის
სახლმშენებლობისათვის

ადგილები წერილიდან: რუთი 1-4

- I. მსაჯულთა წიგნი არის წიგნი ისრაელის საცოდავი ისტორიის, ბნელი და ამაზრზენი ისტორიის, შესახებ; რუთის წიგნი, როგორც დამატება მსაჯულთა წიგნისა, – არის მოთხოვნა ერთი წყვილის შესანიშნავი ისტორიის, ნათელი და კეთილსურნელოვანი ისტორიის; მთავარი გმირი ამ ისტორიისა, რუთი, ჰგავს შროშანს, რომელიც გაიზარდა ეპლოვან ბუჩქნარში, და ნათელ ვარსკვლავს, რომელიც ანათებს ბნელ დამეში – რუთი 1-4.
- II. რუთის წიგნის 1-ლ თავში საუბარია იმაზე, რომ ელიმელექმა გადაუხვია გვერდზე, მიატოვა მოსვენება დმერთის სახლმშენებლობაში (მუხ. 1-2), ნაყომი დაუბრუნდა მოსვენებას დმერთის სახმლშენებლობაში (მუხ. 3-7, 19-22), ხოლო რუთმა აირჩია თავისი მიზანი (მუხ. 8-18):
 - ა. რუთის წიგნი არის წიგნი მოსვენებაზე; შაბათის მოსვენება არის ქრისტე, როგორც ჩვენი მოსვენება, რომლის წინასახეც არის ქანაანის კეთილი მიწა – რჯლ. 12:9; ქბრ. 4:8-9:
 1. დმერთმა მოისვენა მეშვიდე დღეს, რადგან მან მიაღწია იმას, რაც მას სურდა; დმერთის გულის სურვილი არის ის, რომ მოიპოვოს ადამიანი დედამიწაზე, რომელიც გამოხატავდა მას მის სახებაში და წარმოადგენდა მას მისი ბატონობით – დაბ. 1:26-28; რომ. 8:28-29; 2 კორ. 3:18; რომ. 5:17, 21; გამოცხ. 5:9-10; 22:5.
 2. ძველ ადოქმაში კეთილი მიწა იყო მოსვენება, რადგან იქ შეიძლებოდა აშენებულიყო ტაძარი; ტაძარი იყო საბოლოო დასრულება ისრაელის შვილების შესვლისა კეთილ მიწაზე; მას შემდეგ, რაც მიიღო ტაძარი, დმერთს შეეძლო მოეპოვებინა თავისი გამოხატულება და თავისი წარმომადგენლობა თავისი სამეფოსათვის, მთავრობისა და მმართველობისათვის – 3 მეფ. 8:1-11.
 3. ქრისტე არის მოსვენება წმიდანებისათვის სამ ეტაპზე:
 - ა) ეპლესიის საუკუნეში ზეციური ქრისტე, ის, ვინც გამოხატავდა, წარმოადგენდა და აკმაყოფილებდა დმერთს და ვინც ისვენებს თავისი სამუშაოსაგან და ზის დმერთის ხელ მარჯვნივ ზეცაში, არის ჩვენთვის მოსვენება ჩვენს სულში; როგორც ჩვენი მოსვენება, ის არის ჩვენი სრულყოფილი მშვიდობა და სრული დაკმაყოფილება – მათე 11:28-29.
 - ბ) ასწლოვან სამეფოში, მას შემდეგ, რაც სატანა იქნება მოშორებული დედამიწიდან (გამოცხ. 20:1-3), დმერთი იქნება გამოხატული, წარმოდგენილი და დაკმაყოფილებული ქრისტეთი და გამარჯვებული წმიდანებით; მაშინ ქრისტე სამეფოსთან ერთად

იქნება მოსვენება უმაღლეს დონეზე გამარჯვებული წმიდანებისათვის, რომლებიც იქნებიან თანა-მეფეები მასთან ერთად (მუხ. 4, 6) და გაინაწილებენ მის მოსვენებასა და დატკბებიან მისით.

- გ) ახალ ცასა და ახალ მიწაზე, მას შემდეგ, რაც ყველა მტერი, მათ შორის სიკვდილი, უკანასკნელი მტერი, დაემორჩილება მას (1 კორ. 15:24-27), ყველაფერზე გამარჯვებული ქრისტე მარადიულად იქნება მოსვენება უმაღლეს დონეზე დმერთის ყველა გამოსყიდულისათვის.
- ბ. როდესაც ტოვებდა კეთილ მიწას, ებიმელექმა გადაუხვია გვერდით, მიატოვა სიმშვიდე დმერთის სახლმშენებლობაში და ამის მეშვეობით მოკვეთა თავისი თავი დმერთის სახლმშენებლობისაგან; მან გადაუხვია გვერდზე, დატოვა ბეთელი, მომავალი ქრისტეს დაბადების ადგილი (მიქა 5:2; ლუკა 2:4-7), იუდეაში, კეთილი მიწის საუკეთესო ადგილას (დაბ. 49:8-10; გამ. 3:8ბ; რჯლ. 8:7-10), და წავიდა მოაბში, კერპთაყვანისცემის ადგილას (მსაჯ. 10:6).
- გ. წმიდა მიწაზე დაბრუნებით, ნაყომი დაბრუნდა დმერთის სახლმშენებლობის მოსვენებაში მოაბიდან, კერპთაყვანისცემის ქვეყნიდან, იუდეაში, ემანუელის მიწაზე (ესაია 8:8), რათა მისულიყო ბეთლემში, ქრისტეს დაბადების ადგილას (რუთი 1:19ა, 22ბ); ის დაბრუნდა რუთთან, თავის რბალთან ერთად, რომელიც მას მისცა დმერთმა თავისი სახლმშენებლობის განსახორციელებლად ქრისტესთან დაკავშირებით (მუხ. 22ა).
- დ. რუთმა ამოირჩია თავისთვის მიზანი: მონაწილეობა დმერთის ოჩეულებთან ერთად ქრისტეთი ტკბობაში, და ის გახდა ქრისტეს მნიშვნელოვანი წინაპარი, ადამიანი, რომელიც დაეხმარა, რომ დაბადებულიყო ქრისტე კაცობრიობაში; ეს იყო მიერ მისი დმერთის და მისი სამეფო არჩევა დმერთის სახლმშენებლობის განხორციელებისათვის ქრისტესთან დაკავშირებით – მათე 1:5-6.
- III. რუთის წიგნის მე-2 თავში საუბარია რუთზე – წარმართზე თავისი წარმოშობით, რომელიც დაბრუნდა დმერთთან, გამოიყენა თავისი უფლება, რომ ზიარებოდა მდიდარ ნაყოფებს დმერთის ოჩეულების მემკვიდრეობისა:
- ა. თავისი სამმაგი სტატუსის: უცხოელის, დარიბისა და ქვრივის სტატუსის თანახმად, რუთმა გამოიყენა თავისი უფლება, რომ შეეგროვებინა მორჩენილი მკიდან; როდესაც ის აგროვებდა მორჩენილს მკიდან, ის არ აგროვებდა მათხოვრობით, არამედ სარგებლობდა თავისი უფლებით.
- ბ. დმერთის დადგენილება მკაზე იყო ის, რომ იგჰოვა აკურთხებდა ისრაელის შვილებს, თუ ისინი დაუტოვებდნენ თავიანთი მინდვრების კუთხეებს და დარჩენილს მკისაგან დარიბებს, უცხოელებს, ობლებსა და ქვრივებს – ლუკ. 23:22; 19:9-10; რჯლ. 24:19.
- გ. ბოყაზი დაემორჩილა ამ დადგენილებას, რაც გახდა მოწმობა მისი დიდი რწმენისა იგჰოვაში; დმერთის უზენაესობის თანახმად, ეს დადგენილება თითქოს იყო დაწერილი ერთი ადამიანის გამო – რუთი.
- დ. როგორც რუთს პქონდა უფლება, დამტკბარიყო კეთილი მიწის ნაყოფებით, ამ მიწაზე შესვლის შემდეგ, ასევე ჩვენც გვაქვს უფლება, დავტკბეთ

ქრისტეთი, როგორც ჩვენი კეთილი მიწით, მას შემდეგ, რაც ვირწმუნებთ ქრისტეს; ის, რომ რუთმა გამოიყენა თავისი უფლება, მოეპოვებინა კეთილი მიწის ნაყოფები და დაუფლებოდა მათ, ნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ვირწმუნეთ ქრისტეში და ორგანულად შევუერთდით მას ჩვენს „შეერთებულ“ სულში (რომ. 8:16; 1 კორ. 6:17), ჩვენ უნდა დავიწყოთ სწრაფვა ქრისტესკენ, რათა მოვიპოვოთ ის, განვიცადოთ ის და დავტკბეთ მისით (ფილიპ. 3:7-16).

გ. რუთის წიგნი თვალზათლივ გვიჩვენებს საშუალებას, მდგომარეობას, საფუძველსა და უფლებას, რომელიც ნებას აძლევს ცოდვილებს, მონაწილეობა მიიღონ ქრისტეში და დატკბნენ ქრისტეთი; ღმერთის დადგენილების თანახმად, ჩვენ, ვინც ვირწმუნეთ ქრისტე, მოგვაცა ყოველგვარი საფუძველი და მდგომარეობა, რომელიც გვაძლევდა იმის საფუძველსა და პოზიციას, რომ მოგვეთხოვა ჩვენი უფლება, დაგმტკბარიყავით ქრისტეთი (კოლ. 1:12; გამოცხ. 2:7; 22:14).

გ. რუთის წიგნი არის შესანიშნავი, შეხებადი, შემდწევი და დამატევევებელი ისტორია; მე-2 თავში ამ კეთილსურნელოვანი ისტორიისა საუბარია ოთხ წინასახეზე:

1. ბოყაზი, ადამიანი მდიდარი თავისი ქონებით (მუხ. 1), წარმოადგენს ქრისტეს წინასახეს, მდიდარს დვთაებრივი მადლით (2 კორ. 12:7-9).
2. ღმერთის მიერ დაპირებული კეთილი მიწის მინდორი (რუთი 2:2-3) წარმოადგენს ყოვლისმომცველი ქრისტეს წინასახეს, რომელიც არის სათავე ყველა სულიერი და დვთაებრივი ნაყოფისა ღმერთის რჩეულების სასიცოცხლო შეწევნისათვის (ფილიპ. 1:19-21ა).
3. ქერი და ხორბალი (რუთი 2:23) – არის წინასახე ქრისტესი როგორც მასალის ღმერთისათვის და მისი ხალხისათვის საკვების მოსამზადებლად (ლევ. 2; იოანე 6:9, 33, 35).
4. ის, რომ რუთმა, მოაბეჭმა, ცოდვილმა-წარმართმა, გაუცხოებულმა ღმერთის აღთქმებისაგან (რჯლ. 23:3; შდრ. ეფეს. 2:12), მიიღო უფლება, ზიარებოდა ღმერთის რჩეულების სამკალისაგან დარჩენილს, ემსახურება იმის წინასახეს, რომ წარმართ „ძაღლებს“ მიცემული ჰქონდათ პრივილეგია ზიარებოდნენ ქრისტეს როგორც იმ ნამცეცებს მაგიდის ქვეშ, რომლებიც არიან ხვედრი, ღმერთის რჩეული შვილებისა (მათე 15:21-28 და შენიშვნა 27¹⁾).

IV. რუთის წიგნის მე-3 თავში საუბარია იმაზე, რომ რუთი ეძებდა თავისთვის მოსვენებას:

- ა. უთხრა ერთ დღეს რძალს (რუთს) მისმა დედამთილმა, ნაყომიმ: „ჩემო ასულო, ისეთი თავშესაფარი უნდა მოგიძებნო, სადაც სიკეთე გეწევა“ – მუხ. 1:
1. ნაყომი ხვდებოდა, რომ ბოყაზი იქნებოდა საუკეთესო ქმარი რუთისათვის, ამიტომ ის მოქმედებდა როგორც შუამავალი, რათა გაემზადებინა რუთი გათხოვებისათვის.
 2. ნამდვილი ახალი აღთქმისეული მსახურები, მსგავსად ნაყომისა, აღძრავენ მორწმუნებებს ქრისტეში უყვარდეთ ის, როგორც თავისი

საქმრო, რათა მათ მიიღონ ის როგორც თავისი ქმარი – 2 კორ. 11:2; გამოცხ. 19:7; 21:9-10.

3. ჩვენ შეგვიძლია მოვიპოვოთ მოსვენება მხოლოდ ერთი გზით – მივიღოთ ქრისტე როგორც ჩვენი ქმარი; ჩვენ უნდა ვიცოდეთ ის როგორც ჩვენი ქმარი და მივიღოთ ის როგორც ჩვენი ქმარი, ვიცხოვოთ განსაკუთრებით მჭიდრო და ახლო შეხებაში მასთან – 1 კორ. 2:9; შდრ. 16:22.
 4. თუ ჩვენ დავქორწინდებით ქრისტეზე, მივიღებთ მას, როგორც ჩვენს ქმარს, ჩვენი ცხოვრება შეიცვლება; ჩვენ გავაცნობიერებთ, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს ცოლის ერთგულება, და ჩვენ ვისწავლოთ ქრისტეთი როგორც ჩვენი სიცოცხლით და ჩვენი პიროვნებით ტყბობას, ვივლით და მოვიქცევით მასთან ერთობაში – 2 კორ. 2:10.
 - ბ. როდესაც მივიდა კეთილ მიწაზე და გამოიყენა თავისი უფლება, დამტკბარიყო მისი მდიდარი ნაყოფებით, რუთს ჯერ კიდევ სჭირდებოდა სახლი, რათა მოეპოვებინა მოსვენება; ასეთი მოსვენება გამოვლინდება მხოლოდ ქორწინების შედეგად:
 1. მაშინაც კი თუ ჩვენ ვართ გადარჩენილი და ჩვენ გვიყვარს უფალი, რათა ჩვენ გვქონდეს სახლი ჩვენი მოსვენებისათვის, ჩვენ უნდა დაგქორწინდეთ უფალ იქსოზე, მივიღოთ ის როგორც ჩვენი ქმარი, და ვიხოვროთ მასთან ერთად ეკლესიაში როგორც ჩვენს სახლში – რომ. 7:4; 2 კორ. 11:2; ეფე. 5:25-27.
 2. ქრისტე როგორც ჩვენი ქმარი და ეკლესია როგორც ჩვენი სახლი წარმოქმნის დასრულებულ მთლიანს, რომლის წყალობითაც ჩვენ შეიძლება გვქონდეს სათანადო და სრული მოსვენება (მუხ. 32).
 - გ. თუ განვიხილავთ აქ ნათქვამს მათეს 1:5-6 და 16-ის სინათლეში, როდესაც რუთი ეძებდა თავისთვის მოსვენებას, ეს, არსებითად, განკუთვნილი იყო გენეალოგიის ხაზის გაგრძელებისათვის, რათა დაბადებულიყო ქრისტე.
 - დ. ბოყაზმა უთხრა რუთს: „თუმცა ნათესავი ვარ, მაგრამ ჩემზე ახლო ნათესავიც გეავს“ – რუთი 3:12:
 1. ამ მუხლში რუთის ქმრის პირველი ნათესავი, უახლოესი ნათესავი, არის წინასახე ჩვენი ბუნებრივი ადამიანისა, რომელსაც არ შეუძლია და არ უნდა, გამოგვისყიდოს ჩვენ ვალისაგან (ცოდვისაგან) ჩვენი ძველი ადამიანისა (4:1-6).
 2. ბოყაზი, მეორე ნათესავი რუთის ქმრისა, არის წინასახე ქრისტესი, რომელიც ეზიარა სისხლსა და ხორცს (ებრ. 2:14), რათა გამხდარიყო ჩვენი ნათესავი, და რომელსაც შეუძლია გამოგისყიდოს ჩვენ ჩვენი ცოდვისაგან, აღადგინოს დაკარგული უფლება ჩვენი ბუნებრივი ადამიანისა ღმერთის ქმნილებაში, გახდეს ჩვენი ახალი ქმარი თავის დვთაებრივ ორგანულ კაგშირში ჩვენთან, და გაგვხადოს ჩვენ თავისი წყვილი თავისი გადიდებისათვის (რუთი 4:7-13).
- IV. რუთის წიგნის მე-4 თავში საუბარია იმაზე, რომ რუთმა მიიღო ჯილდო დმერთის სახლმშენებლობისათვის:

- ა. ჯილდოს ერთი ასპექტი, მიღებული რუთის მიერ დმერთის სახლმშენებლობისათვის, არის ის, რომ მან მოიპოვა ქმარი, რომელმაც გამოისყიდა ის, და რომელიც არის წინასახე ქრისტესი როგორც მორწმუნების გამომსყიდველი ქმრის; ახალ ჩვენ, ქრისტეში მორწმუნებს, გვევს ქმარი, რომელიც არის ჩვენი მარადიული, თანდამსწრები და ყოველდღიური მხსნელი, რომელიც თავს გვადწევინებს ჩვენ, გადაგვარჩენს, გვათავისუფლებს ჩვენი ყველა მწუხარებისაგან.
- ბ. რუთმა არა მარტო მოიპოვა გამომსყიდველი ქმარი, ის ასე იყო გამოსყიდული მისი გარდაცვლილი ქმრის ვალისაგან (მუხ. 1-9); ეს არის წინასახე იმის, რომ მორწმუნები გამოსყიდული არიან თავიანთი ძველი კაცის ცოდვისაგან:
1. რომაელთა 6:6-ის და 7:2-4-ს თანახმად, მკვდარი ქმარი, ჩვენი ძველი ქმარი, – არის ჩვენი ძველი კაცი; დმერთმა შეგვქმნა ჩვენ, რათა ჩვენ ვყოფილიყავით მისი ცოლი, მაგრამ ჩვენ ავჯანყდით მის წინააღმდეგ; ჩვენ უარი ვთქვით მასზე და მივითვისეთ ქმრის მდგომარეობა.
 2. ჩვენმა ცოდვიანმა ქმარმა დაგვაკისრა მრავალი ვალი, მაგრამ იმ დღეს, როდესაც ჩვენ დავქორწინდით ქრისტეზე, ჩვენ მივიდეთ ქმარი, რომელიც არის ჩვენი ყოვლისშემძლე, ყველაზე ძლიერი გამომსყიდველი; ჩვენ ყველას გვჭირდება ქრისტე როგორც ასეთი ქმარი, და ჩვენ ჩვეულებრივ უნდა მივიდეთ მასთან და უბარალოდ ვთქვათ: „უფალო იესო, მე მჭირდები შენ“.
- ბ. რუთის მიერ მიღებული ჯილდოს კიდევ ერთი ასპექტი არის ის, რომ რუთი გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპარი გენეალოგიაში, რომელმაც ხელი შეუწყო დავითის სამეფო სახლში ქრისტეს წარმოქმნას (რუთი 4:13ბ-22; მათე 1:5-16); აქედან ჩანს, რომ მას პქონდა ყოვლისმომცველი და ყოვლადვრცელი მონაპოვარი მდგომარეობითა და უნარით, რომ მოეყვანა ქრისტე ადამიანის მოდგმაში, ამიტომ ის არის მნიშვნელოვანი რგოლი ჯაჭვში, რომელსაც მოჰყავს ქრისტე დედამიწის ყველა კუთხეში.
- დ. რუთი არა მარტო გახდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპარი გენეალოგიაში ქრისტეს წარმოსაქმნელად, მან ასევე გააგრძელა ხაზი დმერთის მიერ შექმნილი ადამიანისა ქრისტეს განკაცებისათვის; ქრისტეს განკაცება დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ის მოვიდა მარადისობიდან დროში, და ასევე მოვიდა თავისი დვთაებრიობიდან ადამიანობაში:
1. ყოველი დღე ჩვენი ქრისტიანული ცხოვრებისა უნდა იყოს გაგრძელება ქრისტეს განკაცების, რომლის დროსაც ქრისტე წარმოიქმნება, რათა დაიბადოს სხვებში იმის შედეგად, რომ ჩვენ ვარიგებთ მათში ქრისტეს როგორც სულს – 2 კორ. 3:6.
 2. იმისათვის, რომ ეს მოხდეს, ჩვენ ყველამ უნდა ვილაპარაკოთ ქრისტეს ნაცვლად, წარმოვთქვათ ქრისტე და ჩვენი ლაპარაკით ჩავნერგოთ ქრისტე სხვებში; თუ ჩვენ ასე მივიტანო ქრისტეს, ეს აუცილებლად მეტაბოლურად შეგვცვლის ჩვენ, და ასევე მათ, ვიზეც ვზრუნავთ, ჩვენი გარდასახვისათვის მის სახებად – მუხ. 18; 4:1.